

მანანა ხუციშვილი

### პარიზის „სააზიო საზოგადოება“ და პირველი სამეცნიერო კავშირები საქართველოსთან

XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში აღმოსავლეთ-მცოდნეობამ, როგორც მეცნიერებამ, პირველი ნაბიჯები გადადგა. თუმცა მისდამი ინტერესი XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ამის დასტურია 1795 წელს პარიზში დაარსებული სასწავლებელი „Ecole spéciale“, რომელიც აზიის ქვეყნების საელჩოების და საკონსულოებისთვის აღმოსავლეთმცოდნეებს, მთარგმნელებს და თარჯიმნებს ამზადებდა. ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის შემდეგ მეცნიერების წინაშე სრულიად ახალი ინტერესების სფეროები გამოიკვეთა, ხოლო მეცნიერულ მუშაობას ახალი შტრიხები შეემატა, აღმოსავლური კულტურისადმი ახალი მიდგომა ჩამოყალიბდა და პარალელურად ახალი კონტაქტებიც დამყარდა.

1818 წელს ქ. კალკუტაში „სააზიო საზოგადოება“ დაარსდა, რომელთანაც „Ecole spéciale“-ის სამეცნიერო საბჭო თანამშრომლობდა და აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერულ დონეზე აყვანას ისახავდა მიზნად. იგივე მეცნიერები კითხულობდნენ ლექციებს „Collège de France“-ში, რომელშიც აღმოსავლურ ენებს და მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდნენ მომავალი ორიენტალისტები; მათ შორის იყო პირველი ევროპელი ქართველოლოგი მარი ბროსე. [2, 13-14] სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპერეზზე მოღვაწეობდნენ: პირველი ფრანგი არქეოლოგი, ძველი ეგვიპტური დამწერლობის პირველი გამშიფრელი აკად. ჟ.-ფ. შამპოლიონი, არაბისტი და სინოლოგი ს. დე სასი, არმენოლოგი ა.-ჟ. სენ-მარტენი, ბუდიზმის და ავესტას სპეციალისტი ე. ბურნუფი და სხვები.

1822 წელს „სააზიო საზოგადოება“ უკვე პარიზში დაარსდა, რომელმაც მთელი ევროპის ორიენტალისტები გააერთიანა. საზოგადოების სამეცნიერო საბჭომ პეტერბურგში დაარსებულ „აზიურ მუზეუმთანაც“ დაიწყო თანამშრომლობა, რომლის ბიბლიოთეკაშიც ორიენტალისტის შესახებ თითქმის ყველა არსებული წიგნი მოიპოვებოდა. სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობდა სხვადასხვა აზიური ქვეყნებიდან შეკრებილ სიძველეთა შესასწავლად, მათ შორის მრავლად იყო ქართული სიძველეებიც. აღმოსავლეთი, თუ აქამდე მხოლოდ მოგზაურთა და დიპლომატიური მისიით აღჭურვილი მოხელეების შთაბეჭდილებების აღწერის საგანს წარმოადგენდა, „სააზიო საზოგადოების“ დაარსების შემდეგ იგი მეც-

ნიერული კვლევის ობიექტად იქცა. საზოგადოების არსებობის პირველივე დღიდან გამოდიოდა პერიოდული „Journal Asiatique“, რომლის რედაქტორიც „სააზიო საზოგადოების“ დამაარსებელი, არმენოლოგი ა. ჟ. სენ-მარტენი იყო. ჟურნალში იბეჭდება მასალა აზიის ქვეყნების სიძველეთა შესახებ, მათ შორის გამოჩნდა საინტერესო დოკუმენტები საქართველოზეც. ავტორები იყვნენ პოლკოვნიკი როტიე, ი. კლაპროთი, მ. შულცი და სხვები. პარიზში გამოვიდა ჟ. კლაპროთის „მოგზაურობა საქართველოში“, ეს იყო მეორე შეესებული გამოცემა და საქართველოს შესასწავლად აუცილებელ წყაროს წარმოადგენდა. ცნობილ არმენოლოგს ა. ჟ. სენ-მარტენს საქართველოს შესახებ არაფერი დაუწერია, მაგრამ მისი ნაშრომების გაცნობისას ჩანს, რომ საქართველოს კარგად იცნობდა. მისი აზრით, აღმოსავლეთმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანი იყო ამ ქვეყნის ისტორიის და მნიგნობრობის შესწავლა, რომელიც კაცობრიობის კულტურის ერთ-ერთ საგანძურად წარმოედგინა. თავის ნაშრომებში მან მრავალგზის გამოიყენა „ქართული ქრონიკები“, სადაც უჩვენა მათი ცნობების სანდოობა და დამთხვევა მეზობელ ხალხთა ისტორიული მწერლობის მონაცემებთან; ხოლო მისი შრომები სომხეთის ისტორიაში საქართველოს ისტორიისათვის მრავალ საინტერესო ფაქტს შეიცავს და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. [2, 15-17] ზუსტად ამ დროს „Journal Asiatique“-ის ფურცლებზე გამოჩნდა ახალგაზრდა ორიენტალისტის მარი ბროსეს პირველი სტატიები. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მ. ბროსე, როდესაც სემინარიაში ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა, თავის სქელტანიან რვეულში, მონაფეებისთვის მომზადებულ თემებს შორის, ამუშავებდა ნაწყვეტებს აღმოსავლეთის ისტორიიდან, მათ შორის კავკასიის შესახებ. [4, 11]

მ. ბროსეს ბიოგრაფიიდან კარგადაა ცნობილი, რომ საეკლესიო და პედაგოგიურ კარიერაზე უარი თქვა და მთლიანად ჩაეფლო თავის საყვარელ საქმეში, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიასა და ფილოლოგიაში. ჩინურის შემდეგ ქართული ენის შესწავლა დაიწყო, რომელიც ამ დროს საფრანგეთში ჩინურ იეროგლიფებზე უფრო უცხო იყო პარალელურად ეცნობა ლიტერატურას საქართველოს შესახებ — 1819 წელს გამოცემულ მოგზაურობათა ანალების XII ტომს და სტრაბონის „გეოგრაფიას“. მ. ბროსემ ყოველივე ქართული ცხოვრების და შემოქმედების წესად დაისახა. ქართული მნიგნობრობის ძეგლების ფრანგულად თარგმნა მის საყვარელ საქმედ იქცა. საფუძვლიანად გაეცნო ავსტრიელი მეცნიერის ვენის უნივერსიტეტის პროფ. მ. ალტერის შრომას „ქართული ლიტერატურის შესახებ“ და მის დანართს, რომელიც ვენასა და რომში არსებუ-

ლი ქართული ხელნაწერების ნუსხას წარმოადგენდა. გაეცნო პარიზის ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერებს, დაამუშავა ბაქარ ბატონიშვილის გამოცემული ბიბლია. [3, 12]. შეისწავლა 1802 წ. გამოცემული არქიმანდრიტ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი საქართველოს შესახებ. არქივში ეცნობა ვახტანგ VI-ის კანონთა წიგნს, ქართულ ისტორიულ ქრონიკებს, სულხან-საბას ლექსიკონს და ბიბლიას. 1822-23 წლებში „Journal Asiatique“-ში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისი არმენოლოგიური და ქართველოლოგიური ხასიათის შრომები. [6, 7] ბროსეს მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება „სააზიო საზოგადოების“ მუშაობას, მისი ყველა ნაშრომი მუდმივად იბეჭდება ჟურნალში, ხოლო მას შემდეგ, რაც ის საზოგადოების წევრი ხდება, უკვე თვითონ კურირებს კავკასიის რეგიონს და, კერძოდ, ახალ კორესპონდენტებს საქართველოს სიძველეთა შესახებ.

„სააზიო საზოგადოების“ წევრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ბროსეს გატაცება აღმოსავლეთით. მათი დახმარებით აკად. ბროსონ დე ვალკენერმა 1823 წელს აკად. ა. რემუზას მისი ლექციების გულმოდგინე მსმენელი მარი ბროსე წარუდგინა. ერთი წლის შემდეგ კი წილად ხვდა ბედნიერება, გასცნობოდა აკად. ა. ჟ. სენ-მარტენს, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. მან პირველმა უკვე მიზანდასახულად ქართულ სიძველეებზე მიუთითა და შთააგონა, რომ ეს ქვეყანა საფუძვლიანი შესწავლის ღირსია. ა.-ჟ. სენ-მარტენმა მ. ბროსე სწორედ იმ ადამიანად მიიჩნია, რომელიც თავს გაართმევდა ამ საკმაოდ რთულ საქმეს და საზოგადოებას საქართველოზე მრავალ საინტერესო მასალას მიაწვდიდა. ა.-ჟ. სენ-მარტენი მ. ბროსეს მასწავლებელი ხდება, აწვდის წიგნებსა და დოკუმენტებს ქართულ სიძველეთა შესახებ. თვითონ ბროსემ უკვე საკმაოდ კარგად იცოდა ქართული ენა და თავისუფლად შეეძლო გაეკვლია მეცნიერების ეს შეუსწავლელი სფერო. მათი უანგარო მეგობრობა და თანამშრომლობა ა.-ჟ. სენ-მარტენის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. სიკვდილის წინ ა.-ჟ. სენ-მარტენმა საზოგადოების წევრს ე. ბურნუფს საგამომცემლო კომისიისათვის გადასაცემად ჩააბარა ბროსეს „ქართული სამართლის“ თარგმანი. მ. ბროსემ ა.-ჟ. სენ-მარტენს თბილი, სიყვარულით სავსე ბიოგრაფია მიუძღვნა, რომელიც ჯერ ბიზანტიის ისტორიის XIII ტომში მოათავსა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ცალკე ბროშურად გამოსცა. [10, 48]

მ. ბროსე მთლიანად ჩაეფლო მუშაობაში. შეისწავლა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის“ ორი ეგზემპლარი. ერთი ცნობილი ორიენტალისტს ა. რემუზას შეუწირავს, მეორე საფრანგეთის კონსულს საქართველოს ჟ. ფ. გამბას გამოუგზავნა. აღსანი-

შნავია, რომ ჟ. ფ. გამბა „Journal Asiatique“-ის სამეცნიერო საბჭოს სისტემატურად აწვდის მასალას დასაბეჭდად ქართული სიძველეების შესახებ. აქვეყნებს პუბლიკაციებს სავაჭრო ურთიერთობების შესახებ, ხოლო მოგვიანებით გამოსცემს წიგნს „მოგზაურობა კავკასიაში“. [9, 3-4]

1825 წელს საფრანგეთის ორიენტალისტთა ფართო წრემ ერთხმად აღიარა მ. ბროსეს მეცნიერული ძიების მნიშვნელობა აღმოსავლეთმცოდნეობაში და იგი, როგორც თვალსაჩინო პირველი ქართველოლოგი, „სააზიო საზოგადოების“ წევრად აირჩიეს. საქართველოს სიძველეთა შესწავლისათვის საზოგადოება მ. ბროსეს განსაკუთრებულ საკითხებს მიუთითებს გამოსაკვლევად.

ჟურნალში მ. ბროსეს „ქართული პოეზიის გამოკვლევა“ იბეჭდება, პარალელურად ის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში ქართული ენის და ლიტერატურის კათედრის დაარსებას ცდილობს, ამავე კათედრისთვის იბრძვის სამეფო კოლეჯში და „წარწერათა და სიტყვიერების აკადემიაში“, თუმცა შედეგს ვერ აღწევს. [10, 24]

მ. ბროსე ჩვეული ენერგიით იკვლევდა საფრანგეთში დაცულ ყველა ქართულ სიძველეს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არქივის კარი გაუღო ახალგაზრდა ქართველოლოგს. კერძო პირები, ვისაც აღმოაჩნდა ქართულ სიძველეთა ნიმუშები, სიამოვნებით აწვდიდნენ მას შესასწავლად. „Journal Asiatique“-ში დაბეჭდილი ქრონიკების მიხედვით ირკვევა, რომ მ. ბროსე გაეცნო ოჯახებში შემონახულ არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ კოლექციებს, სამწუხაროდ, კოლექცია და კოლექციონერთა ვინაობა უცნობია. პარიზში ჩადიან იმერეთის მეფის ძმისშვილები ვახტანგი და ტარიელი, რომლებიც თანამშრომლობენ „სააზიო საზოგადოებასთან“ და მეგობრობენ მ. ბროსესთან. მათი თხოვნით და პარიზში მცხოვრები ი. წილოსანის მეშვეობით მ. ბროსე თარგმნის და აქვეყნებს სტატიებს საქართველოზე. [9, 3-4] მ. ბროსეს ხელმძღვანელობით საზოგადოებამ ჟურნალისათვის ქართული შრიფტი ჩამოასხმევინა. გამოდის ი. ჟ. კლაპროთის ქართულ-ფრანგული ლექსიკონი და გრამატიკა, რომელიც არაერთხელ იქნა დაწუნებული მ. ბროსეს მიერ. დაიბეჭდა ბატონიშვილ ტარიელის მიერ პარიზში ჩამოტანილი „ალექსი ღვთისშვილის“ ნაწყვეტი, ს. დოდაშვილის „ჟინევრა“, წმინდანების — დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობანი ბატონიშვილ თეიმურაზის შენიშვნებით. [2, 51-52] ფრანგულად თარგმნის და აქვეყნებს 1826 წ. ვ. ლეტელიეს მიერ საქართველოდან ჩამოტანილ „ქართულ ისტორიულ ქრონიკას“, რომელიც ქართული ისტორიული თხზულების პირველი პუბლიკაციაა ევროპაში. [4, 20]

საქართველოში სიძველეთა შესწავლას XIX საუკუნემდე ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სიძველეთა აღწერას ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში და უცხოელ მოგზაურთა ნაწერებში. საუკუნის დასაწყისში სიძველეთა შესწავლა სისტემურ ხასიათს იღებს და თითქმის ევროპასთან პარალელურად მეცნიერულ კვლევად ყალიბდება. [1, 13] 1819 წელს პეტერბურგში, უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, ქართველი ახალგაზრდების რიცხვი საგრძობლად გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო რუსეთში ქართული კულტურის კერის გაფართოებას.

ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ქართული სიძველეები მრავლად იყო თავმოყრილი პეტერბურგის და მოსკოვის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, რომლებიც მეცნიერული კვლევისთვის მდიდარ მასალას წარმოადგენდა. პეტერბურგში მოღვაწე ქართველები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ლიტერატურული და მეცნიერული საქმიანობით. მათ შორის იყვნენ მოგზაურები, რომლებიც სამუზეუმო ექსპონატებს და ძველ ხელნაწერებს აგროვებენ და ხელს უწყობდნენ ისტორიული ძეგლების გადარჩენას. ა. სულაკაძე, ცნობილი ანტიკვარი, კოლექციონერი არქეოლოგიურ ნივთებს აგროვებდა. მის ბიბლიოთეკაში უხვად იყო წიგნები არქეოლოგიის შესახებ, უძველესი წიგნები, საეკლესიო ლიტერატურა და წერილები. [7, 154-156] გ. ავალიშვილმა იერუსალიმიდან უნიკალური ხელნაწერები და ეგვიპტიდან მუმია ჩამოიტანა. მ. ბარათაშვილი უძველესი მონეტების კოლექციონერია. თ. და მ. ბაგრატიონებმა ნ. წერეთელთან ერთად ხელნაწერთა და უნიკალური რელიკვიების მუზეუმიც კი მოაწყვეს თავის სახლში. ქართული სიძველეების — ყოველი ნივთი თუ დოკუმენტი — მ. ბროსესთვის დიდი ინფორმაციის მატარებელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროს საქართველოში გამგზავრებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. მ. ბროსე რუსული ენის შესწავლას შეუდგა და 1826 წელს მ. ფირალოვის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი ფრანგულად თარგმნა.

მ. ბროსემ ხელმძღვანელის ძებნა დაიწყო, რომელიც მისი მუშაობით დაინტერესდებოდა. პეტერბურგში დაუკავშირდა თავის მეგობარს, არაბული და თურქული ენების პროფესორს ფ. შარმუას. მან მ. ბროსეს რუსეთში აღმოსავლეთმცოდნეობის მდგომარეობა გააცნო და უშუალოდ დაიდა და განსწავლულ თეიმურაზ ბატონიშვილთან. მ. ბროსემ თეიმურაზს ქართულ ენაზე მისწერა წერილი, რაზეც მალე აღფრთოვანებული პასუხი მიიღო და ასევე თხოვნაც, გაეკეთებინა საფრანგეთში დაცულ ქართულ სიძველეთა

ნუსხა. თეიმურაზმა დიდი ღვაწლი დასდო მ. ბროსეს მეცნიერულ მოღვაწეობას. როგორც საფრანგეთში, ისე რუსეთში ჩასვლის შემდეგ მ. ბროსე ფრანგულად თარგმნიდა და აქვეყნებდა თეიმურაზის გამოგზავნილ მასალას „Journal Asiatique“-ში. მან თარგმნა სტატიები ქართული მეტროლოგიის შესახებ, აღწერა ასამდე ქართული მონეტა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დააღაგა. მისმა ნარკვევებმა ფოლკლორული მასალის, მითოლოგიის, სფრაგისტიკის და ნუმიზმატიკის შესახებ ისტორიოგრაფიის სათანადო მეცნიერულ დარგებს ჩაუყარეს საფუძველი. იგი სისტემატურად ამარაგებს „სააზიო საზოგადოებას“ და მის ჟურნალს ახალ-ახალი მასალით საქართველოზე. [3, 2] ფრანგმა საზოგადოებამ კარგად გაიცნო თეიმურაზის მოღვაწეობა და მისი ღვაწლი ქართველოლოგიაში, 1831 წელს მ. ბროსეს წარდგინებით თეიმურაზი სააზიო საზოგადოების წევრი ხდება. [3, 27]

ბუნებრივია, მ. ბროსეს, ქართული სიძველეების გაცნობისთანავე, საქართველოში ჩამოსვლის სურვილი დაებადა. „სააზიო საზოგადოების“ შუამდგომლობით ორჯერ წარუდგინა მთავრობას პროექტი, ორივე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მ. ბროსე ცდილობდა, ქართულ სიძველეთა კვლევას სისტემური ხასიათი მისცემოდა, ამით მისი მუშაობა სასარგებლო აღმოჩნდა რუსული ორიენტალისტიკის განვითარებისთვის. 1834 წელს ფრანგი ქართველოლოგი მ. ბროსე „სააზიო საზოგადოების“ სამეცნიერო საბჭოს წევრად აირჩიეს. პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემია ორიენტალისტიკაში დიდ წარმატებებს აღწევს, ხოლო ქართულ სიძველეთა ძიება სამეცნიერო კვლევის საგნად იქცა. რუსულად ითარგმნა ვახტანგ VI-ის საქართველოს ისტორია, დ. ბაგრატიონს გამოცემული აქვს „საქართველოს ისტორია“, შემდგომ „საქართველოს ახალი ისტორია“. ი. ბაგრატიონმა გამოსცა ენციკლოპედიური ხასიათის სამტომეული, ხოლო ბ. ბაგრატიონმა — XVIII-XIX საუკუნის ისტორია. [7, 113-115] ლინგვისტი ა. სჟოგრენი რუსეთის აკადემიის დავალებით კავკასიაში მოგზაურობს, დაბრუნებულმა რუს საზოგადოებას განუცხადა, რომ საქართველოს სიძველეები განსწავლულ მეცნიერს ელოდება. პეტერბურგში ასეთ მეცნიერად მ. ბროსე მოიაზრებდა. ამ დროს რუსულად ითარგმნება მ. ბროსეს შრომები საქართველოს სიძველეთა შესახებ და იბეჭდება უკვე „აზიური მუზეუმის“ ჟურნალში. პეტერბურგს ავადმყოფობის გამო ტოვებს აკად. შარშუა, მის ადგილზე მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად ერთხმად ინიშნება მ. ბროსე, ხოლო 1936 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც ირჩევენ.

მ. ბროსე რუსეთში მხოლოდ 1837 წელს ჩამოდის. ეცნობა თე-იმურაზ ბატონიშვილს და მის ბიბლიოთეკას, კერძო პირთა კოლექციებს. ეწვია რუმინანცევის მუზეუმს და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტს. მივლინებით ჩამოდის მოსკოვში, უკავშირდება ქართველ მეცნიერებს და საზოგადო მოღვაწეებს: კონსტანტინე, დავით, იოანე და ბაგრატ ბაგრატიონებს, ზ. ფალავანდიშვილს, გ. ავალიშვილს, პ. ქებაძეს, ს. ტაბიძეს, დ. ჩუბინაშვილს და სხვებს.

მ. ბროსეს პეტერბურგში გადმოსვლით ევროპული ქართველოლოგიის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. ასე შეხვდა ერთმანეთს პეტერბურგში ქართულ სიძველეთა შესწავლის განვითარების ევროპული და ქართული გზები. პეტერბურგის „აზიური მუზეუმი“ ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად გადაიქცა. [5, 193] მ. ბროსე ყველა ახალ მოპოვებულ მასალას ამუშავებს და აქვეყნებს უკვე პეტერბურგის აკადემიის „biuletén saincifik“-ში. თარგმნის ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიას. მისი ინიციატივით და მცდელობით პეტერბურგში ქართული შრიფტი ჩამოასხა, მოამზადა ნიადაგი „საქართველოს ისტორიის“ გამოქვეყნებისათვის. მ. ბროსემ ქართულ სიძველეთა ყველაზე სრულ-ყოფილი კატალოგი შეადგინა. ქართველებთან ერთად მას მხარში ედგა პროგრესულად მოაზროვნე რუსი მეცნიერებიც. ს. უვაროვი, აკადემიის პრეზიდენტი, ნ. ხანიკოვი, არქეოლოგი სრეზნევი, პ. სავე-ლევი, მისი შრომების რუსულად მთარგმნელი და სხვები. მ. ბროსეს არქივში დაცულ მიმონერაში ნათლად ისახება იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების მაჯისცემა. შეიძლება ითქვას, რომ მ. ბროსეს ადგილობრივი კორესპონდენტები ჰყავდა საქართველოში, თავისი მეგობრებისა და თანამოაზრეების სახით, რომლებიც სისტემატურად აწვდიდნენ ახალ ინფორმაციებს. პარალელურად პარიზის ‘სააზიო საზოგადოების’ და პეტერბურგის „აზიური მუზეუმის“ სამეცნიერო საბჭოები განიხილავდნენ მიმდინარე ინფორმაციებს და ბეჭდავდნენ შესაბამის ჟურნალებში. მ. ბროსესთან თანამშრომლობდა იმ დროს საქართველოში მოღვაწე ყველა უცხოელი მკვლევარი, ფ. დიუბუა დე მონპერე, ბარტოლომეი, ა. ბერჟე და სხვები. პეტერბურგში და საქართველოში მოგზაურობისას მუდამ გვერდში ედგნენ ქართველი მოღვაწეები: დ. ბაქრაბე, პ. იოსელიანი, რ. ერისთავი, პირველი ქართველი არქეოლოგი დ. მელვინეთუხუცესიშვილი და სხვები.

მ. ბროსე, გარდა წმინდა აკადემიური მოღვაწეობისა, აქტიურად იყო ჩაბმული ქართული სიძველეების, ლიტერატურის თუ ისტორიული ძეგლების პუბლიკაციასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

ამოუწურავია მ. ბროსეს საარქივო მემკვიდრეობა, რომელიც პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშია, ხოლო ნაწილი თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული და რომელიც XX საუკუნის ბოლოსაც კი შეივსო ახალი ნიმუშებით. აქ იგულისხმება მ. დევაშტერის მიერ საფრანგეთში კოლექციონერისგან შესყიდული „ბროსეს ქალაქები“. [8, 210] თანამედროვე ფრანგი ეგვიპტოლოგი მ. დევაშტერი მ. ბროსეს პირველი ფრანგი არქეოლოგის გვერდით აყენებს. მათ მოღვაწეობაზე გამოკვლევას აკეთებს და მ. ბროსეს „დიდი კავკასიონის შამპოლიონს“ უწოდებს. [9, 3]

უცხოელ მეცნიერთა შორის მ. ბროსე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც საქართველოს სიძველეთა კვლევა „სააზიო საზოგადოების“ ყურადღების სფეროში მოაქცია და ამით საქართველოს სიძველეთა კვლევას სისტემური მეცნიერული ხასიათი შესძინა. მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერებთან, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მისია ქართველ მეცნიერთა შემდგომმა თაობამ იკისრა. ქართული მეცნიერების და „სააზიო საზოგადოების“ შემდგომი ურთიერთობის დასტურია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დიდი ექ. თაყაიშვილის „სააზიო საზოგადოებაში“ ნაკითხული მოხსენება, რომელიც 1926 წლის თარიღდება (არქივის №II62, მოხსენება გაკეთებული იყო ფრანგულ ენაზე, ქვემოთ წარმოდგენილია მისი თარგმანი).

*„პატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო, ბატონებო,*

*თქვენ ერთად, ახალი მონაცემების განხილვის დაწყებამდე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია შეგახსენოთ, რომ ამა წლის 4 ივნისს ასი წელი შესრულდა, რაც „სააზიო საზოგადოების“ სხდომაზე ახალგაზრდა ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ საჯაროდ წაიკითხა მოხსენება სათაურით: „შენიშვნა ქართული ენის შესახებ“ ამ დღიდან დასაბამი მიეცა საქართველოს სიძველეთა მეცნიერულ შესწავლას საფრანგეთსა და ევროპაში.*

*ღრმა პატივისცემის ნიშნად, მოკრძალებით მოვიხრი ქედს „სააზიო საზოგადოების“ წინაშე, რომლის წევრიც ამჟამად ვარ. საზოგადოებამ საქართველოს დაულალავი მკვლევარი მარი ბროსე აღმოუჩინა, რომელმაც 50 წელი მიუძღვნა სომხეთის და საქართველოს შესწავლას. მისი კოლოსალური შრომა მუდამ იქნება ძირითადი საფუძველი საქართველოს სიძველეთა მეცნიერული შესწავლის საქმეში. მან გააძიოფრა და ფრანგულ ენაზე თარგმნა ამ დროისათვის ცნობილი თითქმის ყველა ისტორიული წყარო და ქართული ლიტერატურის ნიმუშები.*

*რასაკვირველია, ბროსეს შემდეგ საქართველოს სიძველეთა კვლევა მნიშვნელოვნად განვითარდა. აღმოჩენილი, შეკრებილი და ნაწილობრივ გამოცემული იქნა დიდი რაოდენობის წყაროები. მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა ენის, ლიტერატურის, სამართლის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ნუმისმატიკის, არქეოლოგიის და ქართული ხელოვნების შესწავლას. რამდენადაც ჩემი შესაძლებლობები, ჩემი კომპეტენცია*



და ცოდნა მადლევდა საშუალებას, მონაწილეობას ვღებულობდი იმ მასალის კვლევაში, რომელიც ამჟამად თავმოყრილია თბილისის მუზეუმში.

ზოგიერთი ამ მასალიდან შევძელი გამომეჭვეყნებინა, მაგრამ ემიგრაციის პირობებში სრულიად მოკლებული ვარ ჩემს წიგნებს და გამოკვლევებს. თან მაქვს მხოლოდ ქართულ სიძველეთა II ტომი, რომელიც სიამოვნებით შევთავაზე „სააზიო საზოგადოებას“. გამოქვეყნებულ მასალებს შორის არის ერთი პატარა დოკუმენტი, რომელიც მინდა გასაცნობათ წარმოგიდგინოთ“.

მარი ბროსემ „სააზიო საზოგადოებასთან“ და „აზიურ მუზეუმთან“ ერთად ევროპასა და რუსეთში ქართველოლოგიის ძლიერი ცენტრები შექმნა, რომლებიც დღესაც საქმიანობენ გარკვეული სახეცვლილებებით უკვე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

### ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ. საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია. — საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1991, გვ. 12-45.
2. დოდაშვილი რ. მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962.
3. კიკვაძე ა. XIX საუკუნის ქართული ისტორიული აზროვნება. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნარკვ. 29, თბ., 1951, გვ. 1-8.
4. ხანთაძე შ. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1966.
5. ხანთაძე შ. ორი იუბილე (თ. ბაგრატიონისა და მ. ბროსეს შემოქმედებითი ურთიერთობების შესახებ), „მაცნე“, №4, 1982, გვ. 192-205.
6. ხოშტარია-ბროსე ე. აკად. მარი ბროსეს საარქივო მემკვიდრეობა. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2002, 03. გვ. 7.
7. Горгидзе М., Грузины в Петербурге. Тб., 1976.
8. Девашгер Ш.-Ф. Шампольон и М.-Ф. Броссе – два знаменитых француза-академика Р. И. А. Н. Находки в Российских архивах. ВД II., 2. 1996, стр. 136—210.
9. Bibileishvili Ts., Andrieu S., M.-F. Brosset (1802-1880) Champollion du Grand Caucase. La Georgie francophone, I. C. G. F. № 5, თბ., 1996, p. 3-4.
10. Bouatchidze G., La vie de Marie Brosset, Ed. du Petit Véhicule, Nantes, 1996.

Manana Khutsishvili

## **The Asian Society of Paris and the first Scholarly Links with Georgia**

### Summary

Orientalism as a scholarly discipline took the first steps in Western Europe at the beginning of the 19<sup>th</sup> century. In Paris, leading Orientalists studying the history of Asian countries engaged in scholarly and educational activities.

In 1818 the “Asian Society” was founded in Calcutta, followed by the “Asian Museum” in Petersburg, and in 1822 the “Asian Society” was established in Paris, whose Academic Council cooperated fruitfully with both. If before that time the east was the object of description of impressions of travellers and officers with a diplomatic mission, after the foundation of these Societies it turned into a topic of scholarly study. From the early days of their existence, journals came out, where articles were published about antiquities of Asian countries. Interesting material appeared concerning the Caucasus, including Georgia. In one publication the editor, Armenologist J.-F. Saint-Martin stated that Georgia represented one of the treasuries of human culture and the study of her history was important for the Oriental Studies.

At the same time, in “Journal Asiatique” papers of a young Orientalist Marie Brosset on Georgian antiquities were published. The Society did not leave unnoticed these publications, soon, in 1826, M. Brosset joined the Society, and a few years later he became a member of its Asiatic Council. Under M. Brosset’s guidance the Georgian fount of type was cast for printing Georgian material. Henceforth the first publications of Georgian historical texts appeared in Europe.

The Academy of Sciences of Petersburg and the “Asian Museum” made great achievements in Orientalism, and the study of Georgian antiquities became the focus of attention. In 1837 the first European Kartvelologist arrived in Petersburg, where he continued his fruitful activities, he travelled to Georgia, and took part in archeological excavations. The “Asian Museum” became a major centre of the study of Georgian antiquities and played a great role in the development of Orientalism as a scholarly discipline. M. Brosset, together with the “Asian society”, made Georgia an object of scholarly study. Throughout his activities M. Brosset cooperated with Russian, Georgian and foreign scholars visiting Georgia. After him this mission was taken over by a new generation of Georgian scholars.